

ევროპის საბჭო
ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლო



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

მესამე სექცია

საქმე ვეისმანი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ

(სარჩელი №63945/00)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2006 წლის 24 მაისი

კანონიერ ძალაში შედის

23/10/2006

ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა კონვენციის 44-ე
მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების
თანახმად. მასში შესაძლოა, შევიდეს რედაქციული ხასიათის
შესწორებანი.

ევროპის საბჭო
ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლო



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

საქმე ვეისმანი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ

1

საქმეზე – ვეისმანი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პალატამ (მესამე სექცია), შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ჯ. ედიგანი – თავმჯდომარე

ბ-ნი ლ. გაფლიში

ბ-ნი კ. ბირსანი

ბ-ნი ვ. ზაგრებელსკი

ბ-ნი ე. მიჯერი

ბ-ნი დავიდ თორ-ბჯორგვინსონი

ქ-ნი ი. ზიემელი

და ბ-ნი ვ. ბერუე, სექციის მოადგილე განმწესრიგებელი

იმსჯელა განმარტოებით 2006 წლის 4 მაისს,
და იმავე დღეს, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს იტალიის მოქალაქე, ქ-ნი ბ-ნ ეგენი ვეისმანის, ქ-ნ მარიანა ბალანის, როზა ბრენერ-ვეისმანის, ლიანა-ალბერტა ვეისმან-ნეუბერგას, კარინ ვეისმან-ჰუმბერტის (შემდგომში–„განმცხადებლები“) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში–„კონვენცია“) 34-ე მუხლის თანახმად, 2000 წლის 21 ოქტომბერს რუმინეთის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადიდან (№63945/00).
2. განმცხადებელთა ინტერესებს წარმოადგენს დ. მიჰაი, ბუქარესტში მოღვაწე ადვოკატი. რუმინეთის მთავრობის (შემდგომში–„მთავრობა“) ინტერესებს წარმოადგენდა ჯერ მთავრობის რწმუნებული ქ-ნი როქსანა რიზიუ, შემდეგ კი საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ქ-ნი ბეატრის რამაშკანუ.
3. განმცხადებლები, კერძოდ, უჩიოდნენ მათ მიმართ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების

დარღვევასა და საკუთრების უფლების ხელყოფას, იმ მოტივით, რომ მათ უარი ეთქვათ სახელმწიფოს მიერ იმ შენობის ექსპულატაციიდან მიღებული შემოსავლიდან წილის ანაზღაურებაზე, რომელიც მათ ჩამოერთვათ 1949 წელს და რომელიც მათ საკუთრებად კვლავ იქნა აღიარებული 1999 წელს.

4. აღნიშნული სარჩელი განსახილველად გადაეცა სასამართლოს მეორე განყოფილებას (რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). აღნიშნულ განყოფილებაში საქმის განსახილველად (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) კოლეგიის შემადგენლობა შეირჩა რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.
5. კოლეგიამ 2004 წლის 28 სექტემბრის განჩინებით არსებითად განსახილველად მისაღებად ცნო აღნიშნული სარჩელი.
6. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ კოლეგიამ აუცილებელად არ მიიჩნია, საქმის შინაარსობრივი განხილვის მიზნით ჩატარებულიყო სპეციალური მოსმენა (რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი); ხოლო თითოეულმა მხარემ მოწინააღმდეგის შენიშვნებთან დაკავშირებით წარმოადგინა წერილობითი განმარტებები.
7. 2004 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ შეცვალა თავისი განყოფილებები (რეგლამენტი 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). აღნიშნული სარჩელის განხილვა დაავალა შეცვლილ მესამე განყოფილებას (52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ფაქტობრივი მხარე

I. საქმესთან დაკავშირებული გარემოებები

8. განმცხადებლები: ბ-ნი ევგენი ვეისმანი, ქ-ნი მარიანა ბალანი, როზა ბრენერ-ვეისმანი, ლიანა-ალბერტა ვეისმან-ნეუბერგი და კარინ-ვეისმან ჰუმბერტი დაიბადნენ, შესაბამისად:

1931, 1930, 1913, 1947 და 1937 წლებში და ცხოვრობენ: სიეტლში, ნიუ-იორკში, არიელში (ისრაელი) და ბონში.

9. 1998 წლის 3 სექტემბერს ბუდაპეშტის რაიონულ სასამართლოში სახელმწიფოსა (წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს მიერ) და სახელმწიფო უძრავი ქონების მართვის საწარმო L-ის წინააღმდეგ შეტანილი სავინდიკაციო სარჩელით განმცხადებლებმა, როგორც ქონების ყოფილმა მესაკუთრეებმა, მოითხოვეს ქონების (ნივთის) თავიანთ საკუთრებაში აღდგენა, კერძოდ კი შენობისა და მიმდებარე ტერიტორიისა, რომელიც მდებარეობს ქ. ბუდაპეშტში, რაბას ქ. 21-ში და რომელიც ამჟამად უკავია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს. განმცხადებლები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფომ სადავო ქონება მიითვისა 1949 წელს, ყოველგვარი სამართლებრივი სტატუსისა კანონიერი საფუძვლის გარეშე და რომ აღნიშნული ქონება გადაეცა ჯერ რუმინეთის კომუნისტურ პარტიას, შემდეგ კი საწარმო L-ს.

10. მოპასუხე მხარის მიერ 1998 წლის 2 ნოემბერს საქმეზე დართული განმარტებით, ფინანსთა სამინისტრომ სასამართლოს აცნობა, რომ სახელმწიფო სადავო ქონებას დაეუფლა ყოველგვარი სამართლებრივი სტატუსის გარეშე და რომ მას არანაირი ქონების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნდა. სასამართლოს მოთხოვნაზე ბუქარესტის მერიამაც უპასუხა, რომ მას არ გააჩნდა აღნიშნული ქონების შესახებ რაიმე დოკუმენტი. საწარმო L-მა კი განაცხადა, რომ იგი შენობას განკარგავდა მთავრობის №115/1990 დადგენილების საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის კუთვნილი ქონების სამართლებრივ მდგომარეობას.

11. 1999 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით, ბუქარესტის რაიონულმა სასამართლომ განიხილა აღნიშნული სარჩელი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ 1949 წელს უკანონოდ მიითვისა შენობა, რომლის ფლობას კვლავ უკანონოდ აგრძელებს. მან ასევე მიიჩნია, რომ მთავრობის №115/1990 დადგენილება ვერ ჩაითვლებოდა კომპეტენტურ სამართლებრივ საფუძვლად, რადგან ქონების დაპატრონების არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ საწარმო L-ს დააკისრა, დაებრუნებინა სადავო შენობა და მიმდებარე ტერიტორია განმცხადებელთათვის.

12. მოპასუხე მხარეთა მიერ სააპელაციო ინსტანციაში გასაჩივრების შემდეგაც, ჯერ ბუქარესტის სააპელაციო სასამართლომ 1999 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ხოლო მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომ 2000 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით, დაადასტურეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

13. 1999 წლის 12 ოქტომბერს განმცხადებლებმა აღიდგინეს შენობაზე კანონიერი უფლება.

14. 1999 წლის 11 მაისს ფინანსთა სამინისტროს, ბუქარესტის მერიისა და საწარმო L-ის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელით განმცხადებლებმა მოითხოვეს 35 506 776 აშშ-ის დოლარის ანაზღაურება (ანუ 30 609 289 ევროს ეკვივალენტი თანხა), როგორც კუთვნილი ქონებისაგან ვერმიღებული შემოსავალი, რასაც სახელმწიფო, კონფისკაციიდან მოყოლებული, შენობის გაქირავების ხარჯზე ყოველთვიური ქირის სახით იღებდა გერმანიის საელჩოსაგან, რომელიც შენობას დაუზუსტებელი თარიღიდან ქირაობდა.

15. 1999 წლის 9 ივნისის სხდომაზე სასამართლომ, სახელმწიფო ბაჟის შესახებ №146/1997 კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, განმცხადებლებს დააკისრა სასამართლო ხარჯებისათვის სახელმწიფო ბაჟის 5 333 215 000 რუმინული ლეის (ანუ 323 264 ევრო) ოდენობით გადახდა.

16. 1999 წლის 8 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე განმცხადებელთა ადვოკატმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფთა სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლება მოითხოვა, იმ მოტივით, რომ ქონების შემოსავლის ანაზღაურების სარჩელი სავინდიკაციო სარჩელის დამატებითი იყო და რომ იგი, №146/1997 კანონის მე-15 მუხლის თანახმად, აღნიშნული ბაჟისაგან თავისუფლდებოდა.

17. 1999 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული სარჩელი ძირითადად მიიჩნია და, აქედან გამომდინარე, უარი თქვა მისი სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლებაზე.

18. 2000 წლის 12 იანვარს განმცხადებელთა აპელაციის პასუხად ბუქარესტის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა სარჩელის ძირითადობა. მან ასევე მიიჩნია, რომ დამატებითი სარჩელი, რომელიც სახელმწიფო ბაჟისაგან თავისუფლდებოდა, სავალდებულო კავშირში იყო განხილვის პროცესში მყოფ ძირითად სარჩელთან, ხოლო, რაც შეეხება განმცხადებელთა სავინდიკაციო სარჩელს, მასზე სასამართლოს უკვე ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული.

19. განმცხადებელთა საკასაციო სარჩელზე უზენაესმა სასამართლომ თავისი 2000 წლის 21 აპრილის

გადაწყვეტილებით დაადასტურა წინა ინსტანციების გადაწყვეტილებათა მიზანშეწონილობა. სასამართლოს განმარტებით, ორივე სარჩელის დავის საგანი სხვადასხვა იყო და ხაზი გაუსვა იმას, რომ სავინდიკაციო სარჩელით განმცხადებლებმა სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიდგინეს შენობაზე საკუთრების უფლება, მაშინ, როდესაც ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელში ისინი ვერმიღებული შემოსავლის (ქირით მიღებული თანხის) დაბრუნებას მოითხოვდნენ.

II. შესაბამისი ეროვნული სამართალი და პრაქტიკა

ა. 1997 წლის 24 ივლისის №146 კანონი სახელმწიფო ბაჟის შესახებ

20. კანონის შესაბამისი მუხლები ამგვარადაა ჩამოყალიბებული:

მუხლი 1

„სასამართლოში შემოტანილი სარჩელი და განცხადება ექვემდებარება კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ბაჟის გადახდას, იმის მიხედვით, შესაძლებელია თუ არა დავის საგნის ღირებულების დადგენა.“

მუხლი 2

„სასამართლოში შემოტანილი ის სარჩელი და განცხადება, რომელთა დავის საგნის ღირებულების დადგენა შესაძლებელია, ექვემდებარება შემდეგ ნიხრს:

(...) თუ დავის საგნის ღირებულება სცილდება 500 000 000 რუმინულ ლეის, სახელმწიფო ბაჟი შეადგენს 13 215 000 რუმინულ ლეის, პლუს 500 000 000 რუმინული ლეის ზემოთ თანხის 1%.“

მუხლი 15

„სახელმწიფო ბაჟისაგან თავისუფლდება ის სარჩელები, რომელთა მიზანი სახელმწიფოს მიერ უკანონოდ მითვისებული შენობების კანონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნებაა, და

რომელიც სასამართლოში შეტანილია თავად მესაკუთრის, მისი წარმომადგენლის ან სხვა იურიდიული პირის მიერ 1945 წლის 6 მარტიდან 1989 წლის 22 დეკემბრამდე პერიოდში. ბაჟისაგან ასევე თავისუფლდება დამატებითი სარჩელი.“

მუხლი 21

„ფინანსთა სამინისტროს განკარგულების საფუძველზე შეუძლია, დააწესოს სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლების, მისი ოდენობის შემცირებისა თუ ეტაპობრივი გადახდის პირობები.“

21. №146/1997 კანონის 21-ე მუხლი შეიცვალა 2004 წლის 25 მაისის №195 კანონით, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლების, მისი ოდენობის შემცირებისა თუ ეტაპობრივი გადახდის პირობები ამიერიდან სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

ბ. სამოქალაქო კოდექსი

22. შესაბამისი მუხლები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული :

მუხლი 485

„ნივთის ფაქტობრივი ფლობა მხოლოდ მაშინ წარმოშობს მის შემოსავალზე საკუთრების უფლებას, თუ იგი ნივთის უფლებამოსილი მფლობელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნივთის ფაქტობრივი მფლობელი ვალდებულია, ნივთიცა და მისგან წარმოქმნილი შემოსავალიც დაუბრუნოს მის კანონიერ მესაკუთრეს, რომელიც მას მოითხოვს. თუ ეს შემოსავალი ნატურის სახით აღარ არსებობს, მაშინ მისი ფასი დადგინდება ანაზღაურების დღისათვის არსებული ღირებულების მიხედვით.“

მუხლი 486

„უფლებამოსილ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც ნივთს ფლობს კანონიერი უფლებამოსილებით, აქვს მისი გასხვისების უფლება და არაფერი იცის ნივთის უკანონობის შესახებ.“

მუხლი 487

„მფლობელი ვეღარ ჩაითვლება უფლებამოსილად იმ მომენტიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდება ნივთის წარმომავლობის უკანონობა.“

გ. №167/1958 ბრძანებულება გამაქარწყლებელი ხანდაზმულობის შესახებ

23. შესაბამისი მუხლები შემდგენიარადაა ჩამოყალიბებული:

მუხლი 3

„გამაქარწყლებელი ხანდაზმულობის (იმ სარჩელებისთვის, რომელთა დავის საგანი მემკვიდრეობითი ქონებაა) ვადა განისაზღვრება 3 წლით.“

მუხლი 8

„უკანონო აქტით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის სარჩელის გამაქარწყლებელი ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულისათვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო ზარალის არსებობისა და ზარალზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.“

დ. სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც შენობის მფლობელი ვალდებული ხდება, დაუბრუნოს ნივთის (შენობის) კანონიერ მფლობელს მისგან მიღებული შემოსავალი.

24. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა იცნობს ისეთ საქმეებს, რომელთა გადაწყვეტილებები აიძულებენ არაუფლებამოსილ მფლობელს, მთლიანად დაუბრუნოს (აუნაზღაუროს) კანონიერ მფლობელს ნივთისაგან (შენობიდან) მიღებული შემოსავალი, კერძოდ კი, პირველის მიერ ქირის სახით მიღებული შემოსავალი. კომუნისტური რეჟიმის დროს ჩამორთმეული შენობების, მათი ყოფილი კანონიერი მფლობელების მოთხოვნის კონკრეტულ შემთხვევებში სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, აუნაზღაუროს ქირით მიღებული შემოსავალი სავინდიკაციო სარჩელის შეტანის დღიდან.

1. 2003 წლის 18 ივნისის №2646 გადაწყვეტილება

25. ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, როცა საქმე ასევე ეხებოდა ქირის სახით მიღებული შემოსავლის ანაზღაურებას, საელჩოსათვის მიქირავებული იმ შენობისათვის, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუბრუნდა კანონიერ მესაკუთრეს, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ :

„ნივთის შემოსავალი არის ის, რომელიც მიღებულია ნივთის გამოყენებით, როგორცაა, მაგალითად, ქირა ან ყოველდღიური საპროცენტო გადასახადი, რაც ნივთის ღირებულებას არ ამცირებს. თუმცა არსებობს ამ წესიდან გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც შემოსავალი ეკუთვნის ნივთის მესაკუთრეს. სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლი უშეგებს ისეთ გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც ნივთის უფლებამოსილ მფლობელს შეუძლია, ისარგებლოს ნივთის გამოყენებით მიღებული შემოსავლით ისე, რომ ნივთის მესაკუთრეს არ ექნება მისი მოთხოვნის უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლი განმარტავს, რომ მფლობელის უფლებამოსილება ნივთის ფლობაზე წყდება იმ მომენტიდან, როცა იგი შეიტყობს მისი არაკანონიერი წარმომავლობის შესახებ. ამ მომენტიდან იგი ვეღარ ისარგებლებს ნივთის შემოსავლის განკარგვის უფლებით. (...)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი პრაქტიკული საკითხია და მას მოსამართლე კონკრეტული ფაქტების საფუძველზე გადაწყვეტს, მაგრამ სამართლებრივი მოძღვრება და სამოსამართლეო პრაქტიკა ერთხმად ადასტურებენ, რომ სასამართლოში შეტანილი სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, წყვეტს ამ უკანასკნელის უფლებას, ისარგებლოს ნივთის შემოსავლით, ანუ იგი ამ უფლებით ვეღარ ისარგებლებს სარჩელის შეტანის მომენტიდან.

ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით კი აშკარაა, რომ 1995 წლის 1 თებერვლიდან, ანუ იმ დღიდან, როცა პირველი სარჩელი შევიდა სასამართლოში, მოპასუხე მხარე აღარ ითვლება უფლებამოსილ მფლობელად, ვინაიდან ამ თარიღიდან მაინც მისთვის ცნობილი გახდებოდა იმ სტატუსის უკანონობა, რომლის საფუძველზეც იგი მანამდე ფლობდა შენობას.

თუმცა, თუ მოპასუხეს კანონიერი მესაკუთრის სასარგებლოდ 1995 წლის 1 თებერვლიდან 2000 წლის 25 ივლისამდე პერიოდში (როცა ეს სარჩელი იქნა შეტანილი)

ქირით მიღებული შემოსავლის ანაზღაურება ეკისრება, მაშინ გასათვალისწინებელია №167/1958 ბრძანებულების მე-3 მუხლის პირობები, რომლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადა განისაზღვრება 3 წლით, ასევე მხედველობაშია მისაღები ამავე ბრძანებულების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება მოთხოვნის უფლების გაჩენის დღიდან. ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, მოთხოვნის უფლება გაჩნდა 1996 წლის 24 ივნისს, როცა ბუქარესტის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი მხარე ნამდვილად იყო შენობის კანონიერი მესაკუთრე. ამ თარიღიდან არანაირი მატერიალური და სამართლებრივი წინააღმდეგობა აღარ არსებობდა ქირით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსათვის მისამართად. (...)“

2. 2003 წლის 23 სექტემბრის №3585 გადაწყვეტილება

26. ამ საქმესთან დაკავშირებით, უზენაეს სასამართლოს უნდა ემსჯელა და გადაწყვეტილება მიეღო, სხვა სხვა მოთხოვნებთან ერთად, ს.ი.-ს მოთხოვნაზე სახელმწიფოს იმ კომერციული სტრუქტურის მიერ ქირით მიღებული შემოსავლის დაბრუნების თაობაზე, რომელიც განკარგავდა ჩამორთმეულ შენობას. პირველ მოთხოვნაში, რომელიც 1998 წლის 27 მარტს შევიდა სასამართლოში, ს.ი.-მ ზარნესტის პირველი ინსტანციის სასამართლოს 1999 წლის 19 იანვრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მიიღო სადავო შენობის საკუთრების აღიარება.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ქირით მიღებული შემოსავლის დაბრუნების მოთხოვნა საფუძვლიანი იყო შემდეგი მოტივების გამო :

„ (...) სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლის თანახმად, შენობის ფაქტობრივი ფლობა მხოლოდ მაშინ წარმოშობს ნივთის შემოსავალზე საკუთრების უფლებას, თუ იგი (ნივთის) შენობის უფლებამოსილი მფლობელია.

ხოლო ამ კონკრეტულ საქმეში, სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის თანახმად, კომერციულ საზოგადოებას შეუწყდა ფლობის უფლება, როგორც კი შენობის უფლებადარღვევით ფლობის შესახებ გახდა მისთვის ცნობილი, ანუ, მაშინ, როცა ს.ი.-მ თავისი სავინდიკაციო სარჩელი შეიტანა სასამართლოში (1998 წლის 27 მარტს), რომელიც შემდეგ იქნა მიღებული. “

სამართლებრივი მხარე

I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის შესახებ

27. განმცხადებლები ჩივიან სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების ხელყოფისა და სამართალწარმოების უსამართლობის, სასამართლოების მიერ საქმისწარმოებაში დაშვებული შეცდომების გამო. ისინი მიუთითებენ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომელიც შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული :

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას (...) ნებისმიერს აქვს (...) თავისი საქმის სამართლიანი და საქვეურო განხილვის უფლება (...) სასამართლოს მიერ, რომელიც მიიღებს მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას.“

ა. მხარეთა არგუმენტები

28. სასამართლოს პრაქტიკასა (*ტოლსტოი-მილოსლავსკი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*, 1995 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A, № 316-B, გვ. 80-81, §§ 61-67) და კომისიის გამოცდილებაზე (*ფილისი საბერძნეთის წინააღმდეგ* (დეკ.) №18989/91, 1994 წლის 12 ოქტომბერი) დაყრდნობით, მთავრობა აცხადებს, რომ სამართალწარმოების ხარჯების დასაფარავად სამოქალაქო სარჩელით მოთხოვნილი დავის საგნის ფასის პროპორციულად ბაჟის დაწესება თავისთავად არ არის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა. რაც შეეხება ბაჟის ოდენობას, მთავრობა ხაზს უსვამს, რომ იგი სარჩელით მოთხოვნილი ფასის მხოლოდ 1,09% იყო.

29. ამას გარდა, მთავრობა საყვედურს გამოთქვამს განმცხადებელთა მიმართ და აცხადებს, რომ მათ შეეძლოთ ჯერ ფინანსთა სამინისტროსათვის მიემართათ სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლების თხოვნით და შემდეგ სამინისტროს შესაძლო უარი გაეცხადებინათ სასამართლოში.

30. განმცხადებლები აცხადებენ, რომ დაკისრებული ბაჟის ოდენობა გადაჭარბებულად მაღალი იყო, რამაც მათ მოუსპო სასამართლო განხილვის უფლება. ისინი იშველიებენ *კრეუსის* საქმეს პოლონეთის წინააღმდეგ (№ 28249/95, § 66, CEDH 2001-VI) და მიიჩნევენ, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო სამართლიანი თანაფარდობა, ერთი მხრივ,

სახელმწიფოს ინტერესს, მიეღო სასამართლო ხარჯებისათვის დაწესებული გადასახდი და, მეორე მხრივ, განმცხადებელთა ინტერესს შორის, მათი პრეტენზიები განეხილა სასამართლოს.

31. ისინი ასევე აცხადებენ, რომ მათი სასარჩელო განცხადება ზიანის ანაზღაურებაზე ატარებდა აქსესუარულ ხასიათს სავინდიკაციო სარჩელთან მიმართებით და, აქედან გამომდინარე, იგი უნდა განთავისუფლებულიყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

ბ. სასამართლოს შეფასება

32. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული უფლებადარღვევა მოიცავს ორ განშტოებას : პირველი შეეხება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ხელყოფას, ხოლო მეორე სამართალწარმოების სამართლიანობას. თუმცა, ვინაიდან სასამართლოებს არ უმსჯელიათ სარჩელის შინაარსობრივ მხარეზე, მეტიც, უარი თქვეს მის არსებითად განხილვაზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ, საქმესთან დაკავშირებული პროცედურის უსამართლობის გამო, უფლებადარღვევა, რომელზეც მიუთითებდნენ განმცხადებლები, ცალკე არც განხილულა.

33. სასამართლოს შეხსენებით, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ნებისმიერი ადამიანისათვის უზრუნველყოფს სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას სასამართლოს მიერ განხილვის უფლებას. ეს მუხლი „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაში“ თავისთავად მოიაზრებს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას, ანუ სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია.

34. თუმცა „სასამართლო განხილვის უფლება“ არ არის აბსოლუტური – იგი უშვებს გარკვეული სახის შეზღუდვებს, და, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, სახელმწიფოს შეუძლია, დაარეგულიროს იგი იმ საშუალებებით, რომლებიც მის ხელთაა.

35. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მას არასოდეს გამოურიცხავს, უკეთესი სამართალწარმოების მიზნით, სასამართლო განხილვის უფლებით მოსარგებლე პირის მიმართ დააწესოს ზოგიერთი ფინანსური შეზღუდვა (ზემოთ ხსენებული *ტოლსტოი-მილოსლავესკის საქმე*, გვ. 80-81 და *კრეუსის საქმე*, §59).

36. მიუხედავად სახელმწიფოსათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლების ამ ხარისხისა, სასამართლო ხაზგასმით

აღნიშნავს, რომ სასამართლო განხილვის უფლების შეზღუდვა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან შესაბამისობაში, როცა ეს ზომა ეფუძნება კანონიერ მიზანს და არსებობს მიზანსა და საშუალებებს შორის გონივრული თანაფარდობა.

37. კონვენციის უმთავრესი პრინციპიდან გამომდინარე, დაიცვას არა თეორიული და ილუზიური, არამედ კონკრეტული და ეფექტური უფლებები, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სასამართლო ხარჯები, რომლებიც დგინდება კონკრეტული საქმის გარემოებების შეფასების საფუძველზე, ამავე დროს, უნდა ითვალისწინებდეს განმცხადებლის გადახდისუნარიანობას და სამართალწარმოების იმ ფაზას, რომელშიც აღნიშნული ფინანსური შეზღუდვა ეკისრება. ეს ფაქტორებია გასათვალისწინებელი იმისათვის, რათა შეფასდეს, რამდენად მიეცა დაინტერესებულ პირს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის საშუალება; ხომ არ მოხდა დაკისრებული გადასახადის გამო მისი ამ უფლების ძირითადი არსის ხელყოფა (*გოლსტოი-მილოსლავსკის საქმე*, გვ. 80-81, §63 და *კრეუსის საქმე*, §60).

38. ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის შესატანად დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის 323 264 ევროს გადაუხდელობამ გამოიწვია სარჩელის განხილვაზე უარი.

39. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ დაკისრებული თანხის ხსენებული ოდენობა უდავოდ გადაჭარბებული იქნებოდა პროცესში მონაწილე ნებისმიერი მხარისათვის. მით უფრო, რომ იგი არ მართლდებოდა არც საქმის განსაკუთრებული გარემოებებით და არც განმცხადებელთა ფინანსური მდგომარეობით, არამედ იყო სარჩელის დავის საგნის ფასიდან გამომდინარე კანონით გათვალისწინებული ფიქსირებული პროცენტი. თუმცა განმცხადებელთა მიერ მიუღებელი სარგებლის მოთხოვნით განცხადებული თანხა სოლიდურად გამოიყურებოდა, სასამართლოს აზრით, შენობის ღირებულებიდან გამომდინარე, ეს თანხა არ იყო საფუძველს მოკლებული.

40. სამაგიეროდ, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელთათვის სარჩელის მიღებისათვის დაკისრებული თანხა იყო გადაჭარბებული. აქედან გამომდინარე, მოუწიათ სარჩელის შეტანაზე უარის თქმა, რამაც მათ წაართვა თავიანთი საქმის სასამართლოში განხილვის უფლება.

41. რაც შეეხება შესაძლებლობას, რომ განმცხადებლებს მოეთხოვათ სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლება, რომლითაც, როგორც სასამართლო აღნიშნავს, მთავრობის

არგუმენტის თანახმად, განმცხადებლებმა არ ისარგებლეს, მიანიშნებს ეროვნულ დონეზე მართლმსაჯულების ინსტანციებში მიმართვის გზების ამოუწურავობის გამონაკლისზე. მაგრამ, სასამართლოს აზრით, მსგავსი გამონაკლისი უარყოფილ იქნა სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებითობის განხილვის ეტაპზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო თვლის, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია ეროვნული სასამართლოების პრაქტიკიდან არანაირი პრეცედენტი, რომელიც კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან მიმართებით ამგვარი მიმართვის ეფექტურობას დაასაბუთებდა.

42. კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, კერძოდ, სამართალწარმოების საწყის ეტაპზე დაკისრებულ აღნიშნულ შეზღუდვას სასამართლო არაპროპორციულად მიიჩნევს, რამაც გამოიწვია სამართლიანი სასამართლოს უფლების არსის დარღვევა (იხ. *mutatis mutandis*, *Teltronic-CATV პოლონეთის წინააღმდეგ*, №48140/99, 2006 წ. 10 იანვარი).

43. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სამართლიანი თანაფარდობა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ინტერესს, მიეღო სასამართლო ხარჯებისათვის დაწესებული გადასახდი და, მეორე მხრივ, განმცხადებელთა ინტერესს შორის, მათი პრეტენზიები განეხილა სასამართლოს.

44. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

II. დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის შესახებ

45. განმცხადებლები აცხადებენ, რომ მათი სარჩელის არსებითად განხილვაზე უარით ვერ შეძლეს, ესარგებლათ თავიანთი ქონების შემოსავლით, იმ ქირის სახით, რომელიც სახელმწიფომ მიითვისა და მიიჩნევენ, რომ ამგვარი ქმედებით დაირღვა პროტოკოლის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმად:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის

აუცილებლად მიიჩნევს, საერთო ინტერესების შესაბამისად, საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის, ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

ა. მთავრობის პირველადი პრეტენზიების შესახებ, რომელიც ამ უფლებადარღვევის კონვენციის პირობებთან *ratione temporis* შეუსაბამობას ეფუძნება

46. მთავრობა აცხადებს, რომ სადავო შენობა სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა 1949 წელს, ანუ გაცილებით ადრე, ვიდრე კონვენცია ძალაში შევიდოდა რუმინეთთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, *ratione temporis* განიხილოს აღნიშნული საკუთრების გადაცემის გარემოებები.

47. განმცხადებლები არ ეთანხმებიან მთავრობის არგუმენტებს და აცხადებენ, რომ 1949 წლიდან 1999 წლის 12 ოქტომბრამდე, ანუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შენობის მათ საკუთრებაში აღდგენის დღემდე, განუწყვეტლად ირღვეოდა მათი საკუთრებით სარგებლობის უფლება, რადგან სახელმწიფო მათ შენობას უკანონოდ ფლობდა და, აქედან გამომდინარე, იგი ვალდებულია, მათ აუნაზღაუროს შენობის გაქირავებით მიღებული შემოსავალი.

48. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელთა უფლებადარღვევის ჩივილი ეხება არა შენობის საკუთრების უფლების გადაცემის გარემოებებს, არამედ ამჟამინდელ შეუძლებლობას, დაიბრუნონ შენობის შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ ბუქარესტის რაიონულმა სასამართლომ, 1999 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით, დაადასტურა სახელმწიფოს მიერ შენობის საკუთრების უფლების უკანონოდ მითვისება და დააკისრა ამ უკანასკნელს შენობის განმცხადებელთათვის დაბრუნება.

49. თუმცა, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება, ისევე, როგორც საკუთრების შემოსავლის დაბრუნების მოთხოვნით სარჩელი 1994 წლის 20 ივნისის შემდგომი პერიოდითაა დათარიღებული, ანუ რუმინეთის მიერ კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ, სასამართლოს აზრით, იგი უფლებამოსილია, *ratione temporis* განიხილოს აღნიშნული უფლებადარღვევა, რომელიც ეხება საკუთრების (შენობის) შემოსავლის იმ ნაწილის დაბრუნების

სარჩელს, რუმინეთის მიერ კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ რომ წარმოიშვა (იხ. *mutatis mutandis*, ბრონიოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ (დეკ.) №31443/96, CEDH 2002-X).

50. აქედან გამომდინარე, მთავრობის გამონაკლისი ვერ განიხილება.

ბ. უფლებადარღვევის საფუძვლიანობის შესახებ

1. მხარეთა არგუმენტები

51. განმცხადებლები აცხადებენ, რომ ისინი ყველა კანონიერ მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ, რათა მიეღოთ სარჩელით მოთხოვნილი, სახელმწიფოს მიერ მითვისებული ქირის შემოსავალი. მათი აზრით, სარჩელის განხილვაზე უარმა ისინი, ფაქტობრივად, ამ თანხების გარეშე დატოვა.

52. მთავრობის განცხადებით, სასამართლოებს არცერთ ეტაპზე არ უღიარებიათ, რომ განმცხადებლებს კანონიერად ეკუთვნოდათ ეს თანხა და, რომ არც სამოსამართლო პრაქტიკაში მოიძებნება შემთხვევა, მსგავსი სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილებულიყო.

53. აქედან გამომდინარე, მთავრობას მიაჩნია, რომ განმცხადებლებს არ გააჩნდათ სახელმწიფოს მევალის არანაირი სტატუსი, რომლის საფუძველზეც მათ შეიძლებოდა ჰქონოდათ თუნდაც „კანონიერი მოლოდინი“ საკუთრების უფლებით ფაქტობრივი სარგებლობისა.

54. მთავრობის განცხადებით, განმცხადებელთა სასარჩელო განცხადების არსებითად განხილვაზე, რომელიც სასამართლოებმა ძირითად სარჩელად მიიჩნიეს, უარი თქვეს სახელმწიფო ბაუის გადაუხდელობის გამო, ფაქტობრივი მხარის შეფასება კი მხოლოდ მართლმსაჯულების ეროვნული ინსტანციების პრეროგატივაა. ამას გარდა, მთავრობის აზრით, მოსარჩელეთა სარჩელი არსებითად რომ განხილულიყო, მის მიმართ ხანდაზმულობის ვადა მაინც ამოწურული იქნებოდა, რადგან №167/1958 ბრძანებულების მე-3 მუხლი ნივთის შემოსავლის დაბრუნების სარჩელისათვის ხანდაზმულობის ვადას 3 წლით განსაზღვრავს.

55. განმცხადებლები არ ეთანხმებიან მთავრობის მოსაზრებას და კვლავ აცხადებენ, რომ შენობაზე საკუთრების უფლების აღიარება თავისთავად გულისხმობდა შენობისაგან მიღებული შემოსავლით სარგებლობის უფლებასაც, მისი ოდენობა კი შეიძლებოდა გამხდარიყო დავის საგანი.

56. ამასთან დაკავშირებით, ისინი მიუთითებენ სამოქალაქო კოდექსზე, კერძოდ მის 485-ე მუხლზე, რომლის მიხედვით : შენობის ფაქტობრივ მფლობელს შენობის (ნივთის) შემოსავლით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი შენობის (ნივთის) უფლებამოსილი მფლობელია. არადა, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო არ იყო შენობის უფლებამოსილი მფლობელი, იგი ვალდებული იყო, დაერუნებინა ეს შემოსავალი. მათ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს მიერ შენობის უკანონოდ მითვისების ფაქტის დადასტურება იწვევს სამოქალაქო კოდექსის ზემოთ აღნიშნული მუხლის პირობების გამოყენებას და, ამგვარად, სახელმწიფო ხდება მათი, როგორც ნივთის კანონიერ მესაკუთრეთა, მოვალე.

57. რაც შეეხება გამაქარწყლებელ ხანდაზმულობას, ისინი აღნიშნავენ, რომ სამწლიანი ვადა ამ კონკრეტულ საქმეზე არ ვრცელდება, რადგან №167/1958 ბრძანებულების მე-8 მუხლის მიხედვით, უკანონო აქტით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელზე ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულისათვის ცნობილი გახდა ზიანის შესახებ და ზიანზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა. ხოლო, მათივე განცხადებით, შენობის სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურაზე მრავალჯერ გადაცემით, შენობის მფლობელის არაუფლებამოსილებისა და რეალური ზიანის შესახებ მათთვის მხოლოდ ბუქარესტის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების შემდეგ გახდა ცნობილი.

2. სასამართლოს შეფასება

58. სასამართლო შეახსენებს, რომ განმცხადებელს მხოლოდ მაშინ შეუძლია მიუთითოს პროტოკოლის 1-ლი მუხლის დარღვევაზე და გაასაჩივროს გადაწყვეტილებები, როცა საქმე შეეხება მის კანონიერ საკუთრებას, მის ნივთს, „საკუთრების“ ცნება კი შეიძლება მოიცავდეს როგორც „ამჟამინდელ საკუთრებას“, ასევე საკუთრების მემკვიდრეობითობას, მათ შორის მასთან დაკავშირებულ ვალებს. აქედან გამომდინარე, განმცხადებლებს შეუძლიათ ჰქონდეთ „კანონიერი იმედი“ მაინც, რომ ისარგებლონ თავიანთი საკუთრების უფლებით. სამაგიეროდ, მხოლოდ ის იმედი, რომ მათ უღიარეს საკუთრების უფლება, ვერ იქნება განხილული როგორც „საკუთრება“ №1 პროტოკოლის 1-ლი მუხლის გაგებით. იგივე შეიძლება ითქვას პირობით ვალზე, რომელიც ამ პირობის შეუსრულებლობით ბათილდება (იხ.:

ლიხტენშტაინის პრინცი ჰანს-ადამ II გერმანიის წინააღმდეგ, №42527/98, §§ 82,83, CEDH 2001-VIII, და გრატცინგერი და გრატცინგეროვა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (დეკ.), №39794/98, § 69, CEDH 2002-VII).

59. რაც შეეხება „კანონიერი იმედის“ ცნებას, სასამართლო ასევე შეახსენებს, რომ, როცა საკუთრების ინტერესი ვალის სახითაა წარმოდგენილი, იგი „საკუთრების ღირებულებად“ განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულ სამართალში ამისთვის არსებობს საკმარისი საფუძველი, მაგალითად, როცა იგი დადასტურებულია ჩამოყალიბებული სამოსამართლო პრაქტიკით (კოპეკი სლოვაკეთის წინააღმდეგ, №44912/98, § 52, აუქს CEDH 2004-...).

60. ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლოს აღნიშვნით, სამოქალაქო კოდექსის 485-ე, 486-ე და 487-ე მუხლები მკაფიოდ განმარტავენ და არანაირ ეჭვს არ ტოვებენ, რომ ფაქტობრივმა მფლობელმა უნდა დაუბრუნოს შენობა-ნაგებობა და მისგან მიღებული შემოსავალიც კანონიერ მფლობელებს. ამ პასუხისმგებლობისაგან ერთადერთი განმათავისუფლებელი საბაბი იქნებოდა ის, თუკი ფაქტობრივი მფლობელი აღმოჩნდებოდა შენობის უფლებამოსილი მფლობელი, გასხვისების უფლებით, და მისთვის საკუთრების არაკანონიერების შესახებ არაფერი იქნებოდა ცნობილი.

61. სასამართლო კი აღნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ საქმეში უკანასკნელ ფაქტორთან არ გვაქვს საქმე, რადგან სავინდიკაციო სარჩელის განხილვის პროცესში ფინანსთა სამინისტრომაც და ბუქარესტის მერიამაც აღიარეს, რომ საკუთრების მიღების არანაირი კანონიერი საფუძველი არ გააჩნდათ. ბუქარესტის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებიდანაც ჩანს, რომ სახელმწიფოს არასოდეს ჰქონია სადავო შენობაზე საკუთრების რაიმე კანონიერი საფუძველი.

62. ამას გარდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ, მიუხედავად მთავრობის განცხადებისა, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც აღიარებს სახელმწიფოს მიერ უკანონოდ მიღებული შემოსავლის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების უფლებას სავინდიკაციო სარჩელის საფუძველზე. კონკრეტულ საქმეში ეს პერიოდი მოიცავს 1998 წლის 3 სექტემბრიდან (სავინდიკაციო სარჩელის შეტანის დღე) 1999 წლის 12 ოქტომბრამდე (შენობის ფაქტობრივი დაბრუნების) პერიოდს.

63. აქედან გამომდინარე, რომ აღარაფერი ითქვას, როგორი იქნებოდა ანაზღაურება, განმცხადებელთა სარჩელი არსებითად რომ განხილულიყო, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლებს შეეძლოთ, ჰქონოდათ „კანონიერი იმედი“,

თუნდაც ნაწილობრივ მიეღოთ მათთვის კუთვნილი საკუთრებიდან მიღებული შემოსავლის სახით დაგროვილი ვალი, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსი და იცნობს მართლმსაჯულების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (იხ. *mutatis mutandis*, შპს *Pressos Compania Naviera* და *სხვები ბელგიის წინააღმდეგ*, 1995 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №332, გვ. 21, §§ 31, 32).

64. რაც შეეხება ზემოქმედებას, სასამართლო მიიჩნევს, რომ ქირით მიღებული შემოსავლის მოთხოვნის სარჩელის განხილვაზე უარით განმცხადებლებს პრაქტიკულად ყოველგვარი შანსი წაერთვათ სადავო ანაზღაურების მიღებისა. აქედან გამომდინარე, განმცხადებელთა საკუთრების უფლების განხორციელებაზე მოხდა ზემოქმედების მქონე ჩარევა.

65. სასამართლო შეახსენებს, რომ №1 პროტოკოლის 1-ლი მუხლი უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას. იგი მოიცავს სამ სხვადასხვა ნორმას: პირველი, რომელიც ჩამოყალიბებულია დასაწყისში და უფრო ზოგად ხასიათს ატარებს, მიუთითებს საკუთრების უფლების დაცვაზე; მეორე, რომელიც იმავე აბზაცის მეორე ქვეაბზაცშია ჩამოყალიბებული, ითვალისწინებს საკუთრების ჩამორთმევის შესაძლებლობას გარკვეული პირობებით; ხოლო მესამე, რომელიც მეორე აბზაცშია მოცემული, წევრი სახელმწიფოების მიმართ აღიარებს ქონების მართვის რეგულირების უფლებას საერთო ინტერესების შესაბამისად, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლების, ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

თუმცა, ეს სამივე წესი არც იმდენადაა განსხვავებული, რომ მათ შორის კავშირი არ არსებობდეს – მეორე და მესამე შეეხება საკუთრების უფლების დარღვევის განსაკუთრებულ შემთხვევებს და მათი განმარტება უნდა მოხდეს იმ ძირითადი პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც პირველ წესშია ჩამოყალიბებული.

აქედან გამომდინარე, საჭიროა დადგინდეს, იქნა თუ არა მოძებნილი სამართლიანი თანაფარდობა საზოგადოების საერთო ინტერესების მოთხოვნასა და განმცხადებელთა ფუნდამენტური უფლებების სავალდებულო დაცვას შორის (იხ. სხვა საქმეებთან ერთად *სპორონგი* და *ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ*, 1982 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A, 52, გვ. 26, § 69).

66. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, მთავრობა აცხადებს, რომ სარჩელის არსებითად განხილვაზე უარის თქმა შიდა ეროვნული სამართლისა და მართლმსაჯულების ეროვნული ინსტანციების პრეროგატივაა და რომ, როგორიც არ უნდა იყოს განმცხადებელთა უფლება სავარაუდო ვალის

მოთხოვნასთან დაკავშირებით, ხანდაზმულობის ვადით ნაწილობრივ მაინც ბათილდებოდა.

67. მთავრობის პირველ არგუმენტთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავაც ადასტურებს თავის პოზიციას, რომელიც, კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, უფლებადარღვევის განხილვისას გამოხატა, ანუ, მიუხედავად მართლმსაჯულების შიდასახელმწიფოებრივი ინსტანციებისათვის მინიჭებული შეფასების თავისუფლებისა, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის მოტივით სარჩელის არსებითად განხილვაზე უარით მათ ხელყვეს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება. ხოლო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელთა საკუთრების უფლების დარღვევა გამომდინარეობს ეროვნული სასამართლოების მიერ მათი ვალის მოთხოვნის განხილვის შეუძლებლობიდან, სასამართლოს აზრით, შეფასების ის თავისუფლება, რომელიც ეროვნულ სასამართლოებს აქვთ მინიჭებული, ვერ გაამართლებს 1-ლი პროტოკოლის 1-ლი მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას.

68. ხოლო რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს სარჩელის ხანდაზმულობის ვადასთან მიმართებით, თუნდაც კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ეს ვადა ამოწურულიყო, სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებელთა მიერ ვალის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეიძლებოდა მხოლოდ ნაწილობრივ ამოწურულიყო, რასაც თვით მთავრობაც არ უარყოფს.

69. ვინაიდან მთავრობამ ვერ შეძლო, დამაჯერებელი არგუმენტები წარმოედგინა, თუ რატომ ვერ მიიღეს განმცხადებლებმა რაიმე სახით ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ შენობის ექსპლუატაციით მიღებული შემოსავლის სანაცვლოდ, სასამართლო მიიჩნევს, რომ დარღვეულია სამართლიანი თანფარდობა საერთო ინტერესებსა და განმცხადებელთა საკუთრების უფლების დაცვას შორის.

70. აქედან გამომდინარე, დაირღვა 1-ლი პროტოკოლის 1-ლი მუხლი.

კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების შესახებ

71. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი

მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

ა. ზარალი

72. განმცხადებლები მატერიალური ზიანის ანაზღაურებლად მოითხოვენ 40 020 428 აშშ-ის დოლარს, რაც შეესაბამება სახელმწიფოს მხრიდან მათდამი ვალს, ანუ 1950 წლიდან 1999 წლამდე პერიოდში შენობის გაქირავებით მიღებულ შემოსავალს.

73. ისინი ასევე ითხოვენ 50 000 აშშ-ის დოლარს მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით.

74. მთავრობა უარყოფს ამ პრეტენზიებს და კვლავ აცხადებს, რომ შიდასახელმწიფოებრივი მართლმსაჯულების არცერთ ინსტანციას არ დაუდგენია არანაირი ვალი სახელმწიფოს მხრიდან. ამას გარდა, იგი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული ქირის ანაზღაურების მოთხოვნის დღიდან სამ წელზე მეტი ხანდაზმულობის მქონე სარჩელი ვეღარ განიხილებოდა, ვადაგასულობის გამო.

75. რაც შეეხება მორალური ზიანისათვის მოთხოვნილ თანხას, მთავრობა აცხადებს, რომ არავითარი კავშირი არ არსებობს სარჩელში ხსენებულ უფლებადარღვევებსა და შესაძლო მორალურ ზიანს შორის.

76. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ მთავრობამ ვერ შეძლო, დამაჯერებელი არგუმენტები წარმოედგინა, თუ რატომ ვერ მიიღეს განმცხადებელმა რაიმე სახით ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ შენობის ექსპლუატაციით მიღებული შემოსავლის სანაცვლოდ.

77. ცხადია, სასამართლო ვერ შეცვლის მართლმსაჯულების შიდასახელმწიფოებრივ ინსტანციებს, რათა გადაწყვეტილება მიიღოს ქირის სახით მიღებული შემოსავლების ანაზღაურების მიზანშეწონილობაზე; არც ზარალისა და განმცხადებელთა მიმართ ვალის ოდენობის დადგენაა მისი ამოცანა (იხ. *mutatis mutandis*, შპს *Pressos Compania Naviera* და *სხვები ბელგიის წინააღმდეგ* (50-ე მუხლი), 1997 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, გვ. 1296, § 10, და *იაცცილარი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ* (სამართლიანი დაკმაყოფილება) №41727/98, § 24, 2004 წლის 15 იანვარი).

78. აქედან გამომდინარე, ვინაიდან არანაირი ანაზღაურება არ მომხდარა და დადგენილ უფლებადარღვევას საფუძვლად დაედო სახელმწიფოს მიერ შენობის მითვისებით გამოხატული უკანონო ქმედება, შესაძლებელია, ანაზღაურება სავალდებულოდ არ მოიცავდეს ნივთის სრულ და მთლიან ღირებულებას (იხ. *mutatis mutandis*, *საბერძნეთის ყოფილი მეფე და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ* (სამართლიანი დაკმაყოფილება) № 25701/94, 2002 წლის 28 ნოემბერი, § 78).

79. შესაბამისი ანაზღაურების დასადგენად სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ორი ელემენტი: ერთი მხრივ, მისი უფლებამოსილება *ratione temporis* იწყება მხოლოდ 1994 წლის 20 ივნისიდან, ანუ რუმინეთის მიერ კონვენციის რატიფიკაციის დღიდან და, მეორე მხრივ, რაც შეეხება ამ პერიოდს, სასამართლოს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან ის, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო პრაქტიკა გამორიცხავს ნივთის იმ შემოსავლის ანაზღაურებას, რომელიც მოიცავს სავინდიკაციო სარჩელის შეტანის წინა პერიოდს, ანუ, ამ კონკრეტული საქმის მაგალითზე, პერიოდს 1998 წლის 3 სექტემბრამდე.

80. კონვენციის 41-ე მუხლის სამართლიანი დაკმაყოფილების მიზნით, სასამართლო განმცხადებელთა სასარგებლოდ გადასახადს ერთიანად ადგენს 40 000 ევროს ოდენობით.

81. რაც შეეხება მორალურ ზიანს, სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართლიანი სასამართლო საქმის განხილვის უფლებისა და საკუთრების უფლების დარღვევის დადასტურება თავისთავად საკმარისი დაკმაყოფილებაა.

სასამართლო ხარჯები

82. განმცხადებლები მოითხოვენ 7 000 აშშ-ის დოლარს სასამართლო ხარჯებისათვის, თუმცა არ აზუსტებენ, ეს ხარჯები მათ გასწიეს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე თუ სასამართლოში სარჩელის წარდგენისათვის.

83. მთავრობა აცხადებს, რომ განმცხადებლებს არანაირი დამადასტურებელი დოკუმენტი მათი მოთხოვნის დასასაბუთებლად არ წარუდგენიათ.

84. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის რეალურად გაწეული ხარჯები, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას შეესაბამება და გონივრული ოდენობის

ფარგლებშია (იხ. სხვა საქმეთა შორის ნიკოლოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, №31195/96, § 79, 1999-II CEDH).

85. იქიდან გამომდინარე, რომ განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ გაწეული ხარჯების დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ არანაირი ხარჯი არ აუნაზღაურდებათ.

გ. საურავი

86. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ საურავი უნდა დაწესდეს ცენტრალური ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილი მინიმალური პროცენტის სახით, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი ციფრი

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ :

1. დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.
2. დარღვეულია 1-ლი პროტოკოლის 1-ლი მუხლი.
3.
 - ა. მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებლებს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, კონვენციის 44-ე მუხლის შესაბამისად, სამი თვის ვადაში, მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით, ერთად უნდა გადაუხადოს 40000 ევრო და ასევე თანხის ის ოდენობა, რაც შესაძლოა, მოსაკრებლის სახით გახდეს საჭირო.
 - ბ. აღნიშნული ვადის გასვლიდან თანხის საბოლოო გადახდამდე ამ თანხას დაემატება ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ სესხებისათვის ამ პერიოდის განმავლობაში დაწესებული ოდენობა, რომელიც არ აღემატება 3 %-ს.
4. უფლების დარღვევის ფაქტის აღიარება თავისთავად არის სამართლიანი დაკმაყოფილება მორალური ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ;

5. სასამართლო უარს ამბობს დამატებითი გადასახადის მოთხოვნის სამართლიან დაკმაყოფილებაზე;

შედგენილია ფრანგულ ენაზე და, რეგლამენტის 77-ე მუხლის §§ 2 და 3-ის შესაბამისად, 2006 წლის 24 მაისს გადაიგზავნა აღსასრულებლად.

ვენსან ბერჟე ჯონ ჰედიგანი
სასამართლო მდივანი თავმჯდომარე